ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გარემოს დაცვის კომისიის სხდომის

ოქმი №2

21.12.2021 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

13:00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

გარემოს დაცვის კომისიის წევრები: ნიკოლოზ კახეთელიძე (კომისიის თავმჯდომარე), ლევან ჯაფარიძე, ნინო ვარდოსანიძე, ლევან აბაშიძე, შოთა გრიგოლია, ბარბარა ჯიმელი სულაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

საკრებულოს წევრები:

1. **გიორგი ტყემალაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
2. **რევაზ სოხაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
3. **კონსტანტინე ზარნაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
4. **ზურაბ აბაშიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
5. **ლილე ლიპარტელიანი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
6. **მამუკა გუგეშაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
7. **გივი ჩხარტიშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
8. **მიხეილ კაკაურიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
9. **ლევან ჟორჟოლიანი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

მოწვეული სტუმრები:

1. **გაიოზ თალაკვაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი);
2. **ლევან მიქავა** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი);
3. **გიორგი ვახტანგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსის) მოადგილე;

4. **ნინო ზაგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე;
5. **ოთარ ჩიტიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე;
6. **ირაკლი თავართქილაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს უფროსი.

**სხდომის გახსნამდე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბ-ნმა რევაზ სოხაძემ დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა და აცნობა, რომ მიმდინარე სხდომა გაიმართება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დაცვით (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილების მუხლი 30), ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის, ასევე, გარემოს დაცვის კომისიების ერთობლივი სხდომის ფორმატში.**

**გარემოს დაცვის კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა:** ნიკოლოზ კახეთელიძე (კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის დღის წესრიგი:

1. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2021 წლის 10 დეკემბრის №12-032134433-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი: ნინო ზაგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

2. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2021 წლის 10 დეკემბრის №12-032134738-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი: ნინო ზაგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული
განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

3. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2021 წლის 16 დეკემბრის №12-032135049-03 წერილი) - ოქმს ერთვის

**/მომხსენებელი: ნინო ზაგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო
სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული
განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის №71-134 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2021 წლის 20 დეკემბრის №12-032135041-03 წერილი) - ოქმს ერთვის

**/მომხსენებელი: ნინო ზაგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული
განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

5. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის განსაზღვრის თაობაზე

**/მომხსენებელი: ნიკოლოზ კახეთელიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარე/

სხდომის თავმჯდომარე ბ-ნი ნიკოლოზ კახეთელიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

სხდომაზე დამსწრე საკრებულოსა და კომისიის წევრებმა - ქ-ნმა ბარბარა ჯიმელი სულაშვილმა და ქალბატონმა ლილე ლიპარტელიანმა ითხოვეს, რომ კომისიის სხდომების მასალები მიეწოდოთ სხდომამდე რამდენიმე დღით ადრე, რადგან სხდომაზე განსახილველი საკითხების სიმრავლის გამო, საკითხების დეტალურად შესწავლა მოითხოვს დროს (ყურადღება გამახვილდა განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტებსა და ქალაქ თბილისის ბიუჯეტის პროექტზე).

საკრებულოსა და კომისიის წევრების მიერ საკრებულოსა და კომისიის სხდომებზე განსახილველი საკითხების შესწავლის პროცედურებზე გამოთქმულ შენიშვნებსა და წინადადებებზე ისაუბრა საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბატონმა გიორგი ტყემალაძემ,** რომელმაც ყურადღება გაამახვილა ქალაქ თბილისის საკრებულოს რეგლამენტზე და აღნიშნა, რომ მათი თხოვნა გათვალისწინებული იქნება შესაძლებლობის ფარგლებში.

ამის შემდეგ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

**მოისმინეს დღის წესრიგის პირველი საკითხი** - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2021 წლის 10 დეკემბრის №12-032134433-03 წერილი)

**სხდომის დღის წესრიგის პირველი საკითხი** წარმოადგინა ქ-ნმა ნინო ბაგაშვილმა.

მომხსენებლის (ნ. ბაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად, დღის წესრიგში დადგა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში გარკვეული ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 9 დეკემბრის №21.1656.1868 განკარგულებით, ასევე დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ“ საინფორმაციო მასალის (პროექტის) და განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 11 წინადადება - №0121323314-67; №012131055-67; №0121305780-67; №012132483-67; №012133151-67(№01212663023-67); №01213232204-67; №01213351860-67; №01213351701-67; №01213193153-67; №01212882881-67(№01212982626-67; №01213412598-67) და №01213222-67(№01213302145-67; №01213341524-67 №0121335815-67) განცხადება).

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ლი პუნქტი) - **№0121323314-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, აკაკი ბელიაშვილის ქუჩა №66-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი:

№01.13.02.010.053) მოთხოვნილია სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) სატრანსპორტო ზონა 2-ით (ტზ-2) ცვლილება.

ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს არსებული გაზგასამართი სადგურის რეკონსტრუქცია, კერძოდ, ავტოგასამართი სადგურის მოწყობა.

აღნიშნულ საკადასტრო ერთეულზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსა (წერილი №16-0121315579, 11.11.2021წ.) და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტთან შეთანხმებულია საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა, ავტოგასამართი სადგურის მოწყობის მიზნით, რის მიხედვითაც მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო 2021 წლის 22 ნოემბრის №0121326186 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო არეალზე გავრცელდეს სატრანსპორტო ზონა 2 (ტზ-2).

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ საპროექტო ტერიტორიის აღმოსავლეთით, დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე, დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილში - რუკაზე ხარვეზის სახით რჩება სპეციალური ზონა 1 (სპეცზ-1). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ხარვეზის გასწორების მიზნით, საპროექტო ტერიტორიის აღმოსავლეთით დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ხორციელდება სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, აკაკი ბელიაშვილის ქუჩა №66-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.13.02.010.053) სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) სატრანსპორტო ზონა 2-ით (ტზ-2) ცვლილება და მიმდებარედ სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ბ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი) - **№012131055-67 განცხადებით**, ქალაქ თბილისში, ხელოვანთა ქუჩის №56-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.09.001.072) ნაწილზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება.

საპროექტო მონაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.17.09.001.072-ის ნაწილი) „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105

დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა (სზ).

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო არეალზე (საკადასტრო კოდი: №01.17.09.001.072-ის ნაწილი) ვრცელდება სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1).

აღსანიშნავია, რომ საპროექტო მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.09.001.072) მომიჯნავედ არსებული რეგისტრირებული მიწის ნაკვეთებისთვის (საკადასტრო კოდი: №01.17.09.001.039 და №01.17.09.001.019) აღნიშნული სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) არ წარმოადგენს ერთადერთ მისასვლელს.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ფაქტობრივი მდგომარეობის ასახვის მიზნით, აღნიშნული ტერიტორიის მიმდებარედ ხორციელდება სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) კორექტირება. კერძოდ, ხორციელდება სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონითა (სზ) და სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება და სარეკრეაციო ზონა 2-ისა (რზ-2) და საცხოვრებელი ზონის (სზ) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება. ცვლილება ასევე ეხება გამწვანებული ტერიტორიების თემატურ რუკასაც და ხდება გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა და გავრცელება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო 2021 წლის 9 დეკემბრის №16-01213431070 წერილის მიხედვით, თანახმაა საპროექტო ტერიტორიის (საკადასტრო კოდი: №01.17.09.001.072) მიმდებარედ განხორციელდეს სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) კორექტირება და ფუნქციური ზონის ცვლილება.

ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2021 წლის 9 დეკემბრის №18-01213431368 წერილის მიხედვით, თანახმაა, დანართით წარმოდგენილ არეალზე, საპროექტო წინადადების შესაბამისად განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილებები და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და წინამდებარე დადგენილების მიღებით ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონიერი უფლების აღდგენის მიზნით, ქალაქ თბილისში, ხელოვანთა ქუჩის №56-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.09.001.072) ნაწილზე და მიმდებარედ სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) და სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება და

სარეკრეაციო ზონა 2-ისა (რზ-2) და საცხოვრებელი ზონის (სზ) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება, ასევე გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა და გავრცელება მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „გ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-3 პუნქტი) - **№0121305780-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ვანლერ დაისელის I ჩიხი, №11-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.08.036.046) მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2021 წლის 22 ნოემბრის №01213263672 წერილის მიხედვით, №01.17.08.036.100 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე არსებული სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) არის შემოღობილი ტერიტორია და არ წარმოადგენს საჯარო სივრცეს. ამასთან, №01.17.08.036.046 და №01.17.08.036.084 რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე გავრცელებულ სატრანსპორტო ზონა 1-ს (ტზ-1) ფაქტობრივად სატრანსპორტო ფუნქცია არ გააჩნია და არსებული რელიეფიდან გამომდინარე, აღნიშნულ მონაკვეთებზე არ არსებობს სამომავლო გზის მოწყობის პოტენციალი.

**აზრი გამოთქვეს:**

**ქ-ნმა ლ. ლიპარტელიანმა** - ლეგალიზების მიზნით, ქალაქ თბილისში ვანლერ დაისელის I ჩიხი, №11-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.08.036.046) მიმდებარედ სატრანსპორტო ზონა 1-ის საცხოვრებელი ზონით ცვლილების მიზანშეწონილობის დასაბუთების და ასევე, არსებული ტერიტორიის ფაქტობრივი მდგომარეობის თაობაზე.

**ბ-ნმა რ. სოხაძემ** - ქალაქ თბილისში ვანლერ დაისელის I ჩიხი, №11-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.08.036.046) მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე მოთხოვნილი სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილების საკითხის განხილვის გადადების მიზანშეწონილობის თაობაზე.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით, კომისიის წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს **№0121305780-67 განცხადების** განხილვის გადადება დამატებითი შესწავლისთვის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ ფუნქციური ზონის ცვლილების თაობაზე დამატებითი ინფორმაციის (დასაბუთების) წარმოდგენამდე.

- განმარტებითი ბარათის „დ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-4 პუნქტი) - **№012132483-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ვალოდია გოგუაძის ქუჩა №8-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი:

№01.19.33.008.095) ნაწილზე მოთხოვნილია სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება.

№01.19.33.008.095 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი მოქცეულია განაშენიანების კონტურში. აღნიშნული მიწის ნაკვეთი და მიმდებარედ არსებული ტერიტორია ხასიათდება ინდივიდუალური საცხოვრებელი განაშენიანებით. შესაბამისად, რეგისტრაციაზე შემოჭრილი და მიმდებარედ არსებული სამრეწველო ზონა 1 (ს-1) წარმოადგენს მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის ხარვეზს და არ ასახავს ფაქტობრივ მდგომარეობას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ვალოდია გოგუაძის ქუჩა N8-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.33.008.095) ნაწილზე და მიმდებარე ტერიტორიაზე სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ე" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-5 პუნქტი) - **№012133151-67(№01212663023-67) განცხადებით,** ქალაქ თბილისში, რუსთავის გზატკეცილზე №1-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.18.12.001.005) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2021 წლის 8 დეკემბრის №0121342905 წერილის მიხედვით, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2021 წლის 2 დეკემბრის №01213363193 წერილის მიხედვით, ფუნქციური ზონის ცვლილება მიზანშეწონილია მხოლოდ იმ მონაკვეთზე, რომელიც არაერთგვაროვანი კონფიგურაციით შეჭრილია საკადასტრო ერთეულის საზღვრებში, ხოლო იმ ნაწილში, სადაც სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) ფაქტობრივ გზაზე(ტროტუარზე) ვრცელდება - სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) დარჩეს უცვლელი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით აღნიშნული ტერიტორიის მცირე ნაწილზე ხორციელდება სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, რუსთავის გზატკეცილზე N1-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.18.12.001.005) და მიმდებარე ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1 -ის (ტზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება ასევე, გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა მისაღებია **განცხადებაზე ესკიზის სახით წარმოდგენილი მოცულობის განთავსების პირობით.**

**აზრი გამოთქვა:**

**ქ-ნმა ლ. ლიპარტელიანმა,** რომელმაც მოითხოვა დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა, რადგან მის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ტერიტორიის მიმდებარედ მდებარეობს რკინიგზა.

**ბ-ნი რ. სოხაძისა და ქ-ნი ნ. ზაგაშვილის განმარტებით,** ტერიტორია მდებარეობს გეგმარებით კარკასში და მიზანშეწონილია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის გავრცელება, მით უმეტეს, ტერიტორია არ არის განვითარებული სარეკრეაციო ზონის ფუნქციით. ხოლო, ქალაქ თბილისში, რუსთავის გზატკეცილზე №1-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.18.12.001.005) შემდგომი განვითარებისას რკინიგზის შეზღუდვა გათვალისწინებული იქნება. კერძოდ, პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის მიღების სტადიაზე, შესაბამისი უფლებამოსილი ორგანო დაინტერესებული პირისგან მოითხოვს სს „საქართველოს რკინიგზის" წერილობითი პოზიციის წარდგენას.

- განმარტებითი ბარათის „ვ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-6 პუნქტი) - **№01213232204-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, დომინიკა ერისთავის (განდეგილის) ქუჩა №13-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.02.059.103) ნაწილზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება.

№01.17.02.059.103 რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის საპროექტო მონაკვეთზე ,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა (სზ).

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო არეალზე (საკადასტრო კოდი: №01.17.02.059.103-ის ნაწილი) ვრცელდება სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო, 2021 წლის 30 ნოემბრის №01213343452 წერილის მიხედვით, კომპეტენციის

ფარგლებში, სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) ცვლილებას მიზანშეწონილად მიიჩნევს საკადასტრო ერთეულის საზღვრებში არსებულ მხოლოდ იმ მონაკვეთზე, რომელიც ფაქტობრივი მდგომარეობით არ წარმოადგენს ტროტუარს.

შესაბამისად, სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება ხორციელდება №01.17.02.059.103 რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მხოლოდ იმ ნაწილზე, რომელიც ფაქტობრივი მდგომარეობით არ წარმოადგენს ტროტუარს.

- განმარტებითი ბარათის „ზ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-7 პუნქტი) - **№01213351860-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლება III და IV მიკრორაიონებს შორის არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.07.007.104) მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 6-ისა (სზ-6) და სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტო, უფლებამოსილებების ფარგლებში, განიხილავს ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლება III და IV მიკრორაიონებს შორის არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.07.007.104) არსებული ტერიტორიის ფუნქციური ზონის ცვლილებას, შემდგომში კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუსრულებლობის შედეგად დაზარალებულ პირთა დასაკმაყოფილებლად განკუთვნილ უძრავ ქონებად განკარგვის მიზნით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2021 წლის 3 დეკემბრის №01213373301 წერილის მიხედვით, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენა.

მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ ხარვეზის სახით საპროექტო ტერიტორიის სამხრეთით რჩება სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, აღნიშნულ ტერიტორიაზე ხორციელდება სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა.

**აზრი გამოთქვეს:**

**ქ-ნმა ლ. ლიპარტელიანმა,** რომელმაც აღნიშნა, რომ დიდი დიღმის ტერიტორიის ინტენსიური განაშენიანების გამო, ტერიტორიაზე სარეკრეაციო სივრცეების სიმცირეა და შესაბამისად, კიდევ უფრო მჭიდრო და აქტიური განაშენიანების მიზნით, სარეკრეაციო

ზონების ათვისება და სარეკრეაციო ფუნქციის მქონე ტერიტორიებისთვის ფუნქციური ზონის ცვლილება და მათი სამშენებლო ფუნქციით განვითარება მიზანშეუწონელია.

**ბ-ნმა ნ. კახეთელიძემ** ისაუბრა ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლება III და IV მიკრორაიონებს შორის არსებულ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.07.007.104) მთელ სიგრძეზე გამავალი კოლექტორის შესახებ. მისი განმარტებით, დიდი მნიშვნელობა აქვს ტერიტორიის გეოლოგიურ კვლევას და სამომავლოდ, საპროექტო ტერიტორიაზე სამშენებლო პროექტის შეთანხმების სტადიაზე, საჭიროა მოხდეს კოლექტორის საკითხის გათვალისწინება. შესაძლებელია, დღეს ეს კოლექტორი არ ფუნქციონირებს, მაგრამ მისი უგულებელყოფა არ შეიძლება. მით უმეტეს, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე ამოვსებული ხევია და ამ საკითხების გავლა მნიშვნელოვანი იქნება პროექტირების ეტაპზე. მოქმედი რეგლამენტებით, კოლექტორს აქვს თავისი დაცვის ზონა, რომელიც აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული ტერიტორიის სამშენებლოდ განვითარების პროცესში.

**ბ-ნი ო. ჩიტიძის განმარტებით,** ზემოაღნიშნული კოლექტორი შპს „თბილსერვის" ბალანსზეა. შესაბამისად, თუ შესაძლებელი იქნება, კოლექტორებისთვის დადგენილი შეზღუდვები დაცული იქნება ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლება III და IV მიკრორაიონებს შორის არსებულ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.07.007.104) გრგ-ს ან გაპი-თ განვითარების შემთხვევაში.

- განმარტებითი ბარათის „თ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-8 პუნქტი) - **№01213351701-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.20.01.088.052) ნაწილზე მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სარეკრეაციო ზონა 3-ით (რზ-3) ცვლილება (ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკის ფენაც).

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, მოთხოვნილ ტერიტორიაზე ვრცელდებოდა სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2021 წლის 22 სექტემბრის №01212653677 წერილის მიხედვით, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა წარმოდგენილი საპროექტო წინადადების შესაბამისად, განხორციელდეს №01.20.01.088.052 საკადასტრო ერთეული ნაწილზე მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა, შემდგომში №01.20.01.088.139 საკადასტრო ერთეულთან მიერთების მიზნით.

- განმარტებითი ბარათის „ი" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-9 პუნქტი) - **№01213193153-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, სოფელ

აგარაკებში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №72.16.28.338) ნაწილზე მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტო, უფლებამოსილებების ფარგლებში, განიხილავს ქალაქ თბილისში, სოფელი აგარაკის მიმდებარედ არსებული ტერიტორიის პრივატიზებას.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2021 წლის 7 დეკემბრის №0121341237 წერილის მიხედვით, თანახმაა განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ხარვეზის გასწორების მიზნით, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ ხორციელდება სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ აგარაკებში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №72.16.28.338) ნაწილზე და მიმდებარე ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) მოხსნა მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „კ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-10 პუნქტი) - **№01213222-67(№01213302145-67; №01213341524-67) განცხადებებით,** ქალაქ თბილისში, ფონიჭალის დასახლებაში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.18.13.049.009 და №01.18.13.049.010-ის ნაწილი) მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება.

ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს სამრეწველო-სასაწყობო ფუნქციის შენობის განთავსება წარმოადგენს.

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების მიხედვით სამრეწველო ზონა 1-ში (ს-1) სასაწყობო ფუნქციისთვის განკუთვნილი ობიექტების განთავსება დასაშვებია.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ საპროექტო ტერიტორიის ჩრდილოეთით მდებარე რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთის ნაწილზე

(საკადასტრო კოდი: №01.18.13.049.002), დასავლეთითა და სამხრეთით დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე, დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილზე - რუკაზე ხარვეზის სახით რჩება საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ხარვეზის გასწორების მიზნით, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ (ჩრდილოეთით მდებარე რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: №01.18.13.049.002), დასავლეთითა და სამხრეთით დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე) ხორციელდება საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ფონიჭალის დასახლებაში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.18.13.049.009 და №01.18.13.049.010-ის ნაწილი) და მიმდებარე ტერიტორიაზე საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ლ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-11 პუნქტი) - **№0121335815-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, კალოუბნის ქუჩა №12 და №12-ის მიმდებარედ მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.19.20.010.053; №01.19.20.010.078; №01.19.20.010.095 და №01.19.20.010.097) მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 3-ისა (სზ-3) და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ის (სსზ-1) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება.

მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს პოლიკლინიკის მშენებლობა წარმოადგენს.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ, დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე, დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილზე - რუკაზე ხარვეზის სახით რჩება საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ხარვეზის გასწორების მიზნითა და ფაქტობრივი მდგომარეობის ასახვის მიზნით, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ხორციელდება საცხოვრებელი ზონა 3-ისა (სზ-3) და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ის (სსზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, კალოუბნის ქუჩა №12 და №12-ის მიმდებარედ მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.19.20.010.053; №01.19.20.010.078; №01.19.20.010.095 და №01.19.20.010.097) საცხოვრებელი ზონა 3-ისა (სზ-

3) და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა1-ის (სსზ-1) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება და მიმდებარედ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე საცხოვრებელი ზონა 3-ისა (სზ-3) და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ის (სსზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება მისაღებია **მიწისქვეშა ავტოსადგომის მოწყობის პირობით.**

**სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ნ. კახეთელიძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:**

1. **გადადებულ იქნას №0121305780-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში ვანლერ დაისელის I ჩიხი, №11-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.08.036.046) მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე მოთხოვნილი სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილების საკითხის განხილვა.
2. **რეკომენდაცია გაეწიოს** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2021 წლის 10 დეკემბრის **№12-032134433-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 10 წინადადება - №0121323314-67; №012131055-67; №012132483-67; №012133151-67(№01212663023-67); №01213232204-67; №01213351860-67; №01213351701-67; №01213193153-67; №01212882881-67(№01212982626-67; №01213412598-67) და №01213222-67(№01213302145-67; №01213341524-67 №0121335815-67) განცხადება) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 3

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 2

**შენიშვნა:** კენჭისყრას არ ესწრებოდა კომისიის 1 წევრი.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

1. **გადადებულ იქნას №0121305780-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში ვანლერ დაისელის I ჩიხი, №11-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.08.036.046) მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე მოთხოვნილი სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილების საკითხის განხილვა.
2. **რეკომენდაცია გაეწიოს** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2021 წლის 10 დეკემბრის **№12-032134433-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 10 წინადადება -

№0121323314-67; №012131055-67; №012132483-67; №012133151-67(№01212663023-67); №01213232204-67; №01213351860-67; №01213351701-67; №01213193153-67; №01212882881-67(№01212982626-67; №01213412598-67) და №01213222-67(№01213302145-67; №01213341524-67 №0121335815-67) განცხადება) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

**მოისმინეს დღის წესრიგის მეორე საკითხი** - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2021 წლის 10 დეკემბრის №12-032134738-03 წერილი)

**სხდომის დღის წესრიგის მეორე საკითხი** წარმოადგინა ქ-ნმა ნინო ზაგაშვილმა.

მომხსენებლის (ნ. ზაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად, დღის წესრიგში დადგა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში გარკვეული ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 9 დეკემბრის №21.1672.1864 განკარგულებით, ასევე დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ“ საინფორმაციო მასალის (პროექტის) და განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 6 წინადადება - №012126217-67(№01213123539-67); №01213132953-67; №01213193114-67(№01213361563-67); №01213202841-67(№01213302368-67); №01212082868-67 და №01212242611-67 განცხადება).

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ლი პუნქტი) - **№012126217-67(№01213123539-67) განცხადებით,** ქალაქ თბილისში, სოფელ ზემო ლისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: №72.16.18.913; №72.16.18.912; №72.16.18.911; №72.16.18.352; №72.16.18.358; №72.16.18.088-ის ნაწილი) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

,,ქალაქ თბილისში, სოფელ ზემო ლისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: №72.16.18.913; №72.16.18.912; №72.16.18.911; №72.16.18.352; №72.16.18.358; №72.16.18.088-ის ნაწილი) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 19 ნოემბრის №557 განკარგულება ადგენს ტერიტორიაზე ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, სოფელ ზემო ლისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: №72.16.18.913; №72.16.18.912; №72.16.18.911; №72.16.18.352; №72.16.18.358; №72.16.18.088-ის ნაწილი) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ბ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი) - **№01213132953-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, ე.წ. "ნუშის ბაღი"-ის ტერიტორია, ბაგების სატყეო უბანში, მდებარე ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდები: №01.20.01.010.318; №01.20.01.010.349; №01.20.01.010.224; №01.20.01.010.355; №01.20.01.010.047; №01.20.01.010.052; №01.20.01.010.465; №01.20.01.010.402; №01.20.01.010.428; №01.20.01.010.429; №01.20.01.010.327; №01.20.01.010.458; №01.20.01.010.060; №01.20.01.010.055; №01.20.01.010.067; №01.20.01.010.108; №01.20.01.010.080; №01.20.01.010.090; №01.20.01.010.068; №01.20.01.010.079; №01.20.01.010.081; №01.20.01.010.082; №01.20.01.010.083; №01.20.01.117.154; №01.20.01.010.472; №01.20.01.010.467; №01.20.01.010.473; №01.20.01.010.302; №01.20.01.010.303; №01.20.01.010.350; №01.20.01.010.437; №01.20.01.010.085; №01.20.01.010.084; №01.20.01.010.111; №01.20.01.010.096; №01.20.01.010.097; №01.20.01.010.098; №01.20.01.010.113; №01.20.01.010.114; №01.20.01.010.115; №01.20.01.010.109; №01.20.01.010.116; №01.20.01.010.439; №01.20.01.010.130; №01.20.01.010.120; №01.20.01.010.138; №01.20.01.010.171; №01.20.01.010.137; №01.20.01.010.180; №01.20.01.010.003; №01.20.01.010.002; №01.20.01.010.023; №01.20.01.010.025; №01.20.01.010.036; №01.20.01.010.042; №01.20.01.010.182; №01.20.01.010.408; №01.20.01.010.043; №01.20.01.010.198; №01.20.01.010.192; №01.20.01.010.197) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

,,ქალაქი თბილისში, დაბა წყნეთში, ე.წ. "ნუშის ბაღი"-ს ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: №01.20.01.010.115; №01.20.01.010.047; №01.20.01.010.109; №01.20.01.010.043; №01.20.01.010.068; №01.20.01.010.114; №01.20.01.010.060; №01.20.01.010.025; №01.20.01.010.023; №01.20.01.010.042; №01.20.01.010.467; №01.20.01.010.108; №01.20.01.010.138; №01.20.01.010.067; №01.20.01.010.111; №01.20.01.010.099; №01.20.01.010.003; №01.20.01.010.052; №01.20.01.010.096; №01.20.01.010.438; №01.20.01.117.154; №01.20.01.010.080;

№01.20.01.010.083; №01.20.01.010.224; №01.20.01.010.130; №01.20.01.010.116;
№01.20.01.010.192; №01.20.01.010.137; №01.20.01.010.174; №01.20.01.010.171;
№01.20.01.010.318; №01.20.01.010.082; №01.20.01.010.408; №01.20.01.010.097;
№01.20.01.010.081; №01.20.01.010.355; №01.20.01.010.458; №01.20.01.010.426;
№01.20.01.010.090; №01.20.01.010.085; №01.20.01.010.120; №01.20.01.010.036;
№01.20.01.010.402; №01.20.01.010.182; №01.20.01.010.180; №01.20.01.010.327;
№01.20.01.010.429; №01.20.01.010.084; №01.20.01.010.465; №01.20.01.010.359;
№01.20.01.010.079; №01.20.01.010.198; №01.20.01.010.302; №01.20.01.010.197;
№01.20.01.010.472; №01.20.01.010.303; №01.20.01.010.113; №01.20.01.010.098;
№01.20.01.010.469; №01.20.01.010.087; №01.20.01.010.349; №01.20.01.010.428;
№01.20.01.010.473; №01.20.01.010.350; №01.20.01.010.437; №01.20.01.010.439;
№01.20.01.010.002; №01.20.01.010.055) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების პროექტის დამტკიცების თაობაზე'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის №410 განკარგულება ადგენს ტერიტორიაზე ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

აღნიშნული ემსახურება ტექნიკური ხარვეზის აღმოფხვრას, ვინაიდან, №01.20.01.010.349 საკადასტრო ერთეულამდე მისასვლელ გზაზე არ არის გავრცელებული განაშენიანების რეგულირების გეგმით დადგენილი სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, ე.წ. "ნუშის ბაღი"-ის ტერიტორია, ზაგების სატყეო უბანში, მდებარე ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდები: №01.20.01.010.318; №01.20.01.010.349; №01.20.01.010.224; №01.20.01.010.355;
№01.20.01.010.047; №01.20.01.010.052; №01.20.01.010.465; №01.20.01.010.402;
№01.20.01.010.428; №01.20.01.010.429; №01.20.01.010.327; №01.20.01.010.458;
№01.20.01.010.060; №01.20.01.010.055; №01.20.01.010.067; №01.20.01.010.108;
№01.20.01.010.080; №01.20.01.010.090; №01.20.01.010.068; №01.20.01.010.079;
№01.20.01.010.081; №01.20.01.010.082; №01.20.01.010.083; №01.20.01.117.154;
№01.20.01.010.472; №01.20.01.010.467; №01.20.01.010.473; №01.20.01.010.302;
№01.20.01.010.303; №01.20.01.010.350; №01.20.01.010.437; №01.20.01.010.085;
№01.20.01.010.084; №01.20.01.010.111; №01.20.01.010.096; №01.20.01.010.097;
№01.20.01.010.098; №01.20.01.010.113; №01.20.01.010.114; №01.20.01.010.115;
№01.20.01.010.109; №01.20.01.010.116; №01.20.01.010.439; №01.20.01.010.130;
№01.20.01.010.120; №01.20.01.010.138; №01.20.01.010.171; №01.20.01.010.137;
№01.20.01.010.180; №01.20.01.010.003; №01.20.01.010.002; №01.20.01.010.023;
№01.20.01.010.025; №01.20.01.010.036; №01.20.01.010.042; №01.20.01.010.182;
№01.20.01.010.408; №01.20.01.010.043; №01.20.01.010.198; №01.20.01.010.192;
№01.20.01.010.197) ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „გ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-3 პუნქტი) - **№01213193114-67(№01213361563-67) განცხადებით,** ქალაქ თბილისში, მიხეილ გახოკიძის ქუჩა №8გ, №12, №8ბ-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.19.19.005.017; №01.19.19.005.012; №01.19.19.005.055) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

,,ქალაქ თბილისში, მიხეილ გახოკიძის ქუჩა №8გ, №12, №8ბ-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.19.19.005.017; №01.19.19.005.012; №01.19.19.005.055) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 6 აგვისტოს №381 განკარგულება ადგენს ტერიტორიაზე ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, მიხეილ გახოკიძის ქუჩა №8გ, №12, №8ბ-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.19.19.005.017; №01.19.19.005.012; №01.19.19.005.055) ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „დ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-4 პუნქტი) - **№01213202841-67(№01213302368-67) განცხადებით,** ქალაქ თბილისში, სოფელ ზემო ლისში, ლეო კვაჭაძის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №72.16.18.414; №72.16.18.415; №72.16.18.416; №72.16.18.417; №72.16.18.418; №72.16.18.419; №72.16.18.420; №72.16.18.421; №72.16.18.422; №72.16.18.423; №72.16.18.424; №72.16.18.425; №72.16.18.426; №72.16.18.427; №72.16.18.428) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

,,ქალაქ თბილისში, სოფელ ზემო ლისში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №72.16.18.847) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის №441 განკარგულება ადგენს ტერიტორიაზე ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ ზემო ლისში, ლეო კვაჭაძის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №72.16.18.414; №72.16.18.415; №72.16.18.416; №72.16.18.417; №72.16.18.418; №72.16.18.419; №72.16.18.420; №72.16.18.421; №72.16.18.422; №72.16.18.423; №72.16.18.424; №72.16.18.425; №72.16.18.426; №72.16.18.427; №72.16.18.428) ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ე“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-5 პუნქტი) - **№01212082868-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, აკაკი

ბელიაშვილის №110-ში და №100-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.13.01.014.066; №01.13.01.014.065) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

,,ქალაქ თბილისში, აკაკი ბელიაშვილის ქუჩა №100-სა და №110-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.13.01.014.065; №01.13.01.014.066) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 19 ოქტომბრის №503 განკარგულებით დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, რომელიც ადგენს ტერიტორიაზე ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, აკაკი ბელიაშვილის №110-ში და №100-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.13.01.014.066; №01.13.01.014.065) ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ვ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-6 პუნქტი) - **№01212242611-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, სოფელი აგარაკებში, აგარაკის ქუჩა №33-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №72.16.15.692) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

,,ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში არსებულ მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდი: №72.16.15.692) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 19 ნოემბრის №553 განკარგულებით დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმა, რომელიც ტერიტორიაზე ადგენს ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელი აგარაკებში, აგარაკის ქუჩა №33-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №72.16.15.692) ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღებია.

**სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ნ. კახეთელიძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:**

**რეკომენდაცია გაეწიოს** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2021 წლის 13 დეკემბრის **№12-032134738-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილების პროექტის (სულ: 6 წინადადება - №012126217-67(№01213123539-67); №01213132953-67; №01213193114-67(№01213361563-67); №01213202841-67(№01213302368-67); №01212082868-67 და №01212242611-67 განცხადება) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 3

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 2

**შენიშვნა:** კენჭისყრას არ ესწრებოდა კომისიის 1 წევრი.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

**რეკომენდაცია გაეწიოს** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2021 წლის 13 დეკემბრის **№12-032134738-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 6 წინადადება - №012126217-67(№01213123539-67); №01213132953-67; №01213193114-67(№01213361563-67); №01213202841-67(№01213302368-67); №01212082868-67 და №01212242611-67 განცხადება) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

**მოისმინეს დღის წესრიგის მესამე საკითხი** - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2021 წლის 16 დეკემბრის №12-032135041-03 წერილი)

**სხდომის დღის წესრიგის მესამე საკითხი** წარმოადგინა ქ-ნმა ნინო ბაგაშვილმა.

მომხსენებლის (ნ. ბაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად, დღის წესრიგში დადგა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული

დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში გარკვეული ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 16 დეკემბრის №21.1724.1926 განკარგულებით, ასევე დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ“ საინფორმაციო მასალის (პროექტის) და განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 6 წინადადება - №01212713352-67; №01213411355-67; №01213302707-67(№01213342222-67); №01213411265-67; №01213413428-67 და №01213444-67 განცხადება).

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ლი პუნქტი) - **№01212713352-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.11.001.416) მოთხოვნილია სატყეო ზონის სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის ფენის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტო, უფლებამოსილებების ფარგლებში, განიხილავს ქალაქ თბილისში, ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.11.001.416) სატყეო ზონის სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილებასა და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის ფენის მოხსნას, შემდგომში პრივატიზების მიზნით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2021 წლის 9 დეკემბრის №0121343850 წერილის მიხედვით, თანახმაა, წარმოდგენილ არეალზე, საპროექტო წინადადების შესაბამისად განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული სატყეო ზონის ფენა.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, საპროექტო ტერიტორიის ცენტრში, ფრაგმენტული სახით, №01.10.11.001.417 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილზე - რუკაზე ხარვეზის სახით რჩება სატყეო ზონა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ხარვეზის გასწორების მიზნით, საპროექტო ტერიტორიის (საკადასტრო კოდი: №01.10.11.001.416) მიმდებარედ ხორციელდება სატყეო ზონის სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის ფენის მოხსნა.

**აზრი გამოთქვეს:**

**ბ-ნმა ნიკოლოზ კახეთელიძემ,** რომელმაც აღნიშნა, რომ ტერიტორია მეწყერსაშიშ ზონაში მდებარეობს და ამიტომ მიზანშეწონილია საკითხის განხილვა გადაიდოს

დამატებითი შესწავლისთვის, დამატებითი და დაზუსტებული ინფორმაციის წარმოდგენამდე.

გარდა ამისა, ბატონმა ნ. კახეთელიძემ ისაუბრა თბილისში არსებულ გეოლოგიური საფრთხეების არეალებზე. მისი განმარტებით, თბილისში მრავალი მსგავსი ტიპის და კატეგორიის (მაღალი გეოლოგიური რისკის შემცველი) მიწებია, იგივე წავკისის ხევი, სადაც ასეთი გეოლოგიური პროცესები დაწყებულია 5000 წლის წინ და მათი გააქტიურება პერიოდულად ხდება. ამ თვალსაზრისით, თბილისის განაშენიანება საერთოდ არ უნდა მოხდეს, რაც წარმოუდგენელია. ამიტომ, ასეთ ტერიტორიებზე საჭიროა განხორციელდეს დამატებითი დაკვირვებები და შესაბამისი ინფორმაციის მიღება, რათა ქალაქი დარწმუნდეს, რომ კონკრეტულ ტერიტორიებზე მეწყრული პროცესები გაჩერებულია და შესაძლებელია მათი ურბანული განვითარება.

**ბ-ნმა მ. გუგეშაშვილმა** ისაუბრა ზოგადად, ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის ტერიტორიის გეოლოგიური საფრთხეების შესახებ და აღნიშნა, რომ კონკრეტულად განსახილველი საკითხი საჭიროებს შესწავლას. მან ასევე აღნიშნა, რომ საჭიროა გამოირიცხოს კონკრეტულ ტერიტორიაზე ბიზნეს-ინტერესის არსებობა.

**ქ-ნმა ლ. ლიპარტელიანმა,** რომელმაც აღნიშნა, რომ სატყეო ზონის ცვლილება ამ ტერიტორიაზე არ არის მიზანშეწონილი, მით უმეტეს, თუ იკვეთება ბიზნეს-ინტერესი.

ქ-ნი ლ. ლიპარტელიანის მიერ სატყეო ზონის სხვა ფუნქციური ზონით ცვლილების შესახებ გამოთქმულ მოსაზრებასთან დაკავშირებით, **ბატონმა ნიკოლოზ კახეთელიძემ აღნიშნა, რომ** სატყეო ზონის ცვლილება სხვა ფუნქციური ზონით შესაძლებელია ქალაქგეგმარებითი ინტერესების გათვალისწინებით, მით უმეტეს, რომ მიმდებარედ გადის საავტომობილო გზა და ქალაქის საჭიროებიდან გამომდინარე, შესაძლებელია ტერიტორიის სატრანსპორტო ფუნქციით განვითარება.

**ბ-ნმა რ. სოხაძემ** ისაუბრა ბიზნეს-ინტერესის გამოხატვის იმ შემთხვევებზე, როდესაც ბიზნესის განვითარებასთან ერთად ხდება ტერიტორიების გამწვანება და მაგალითად მოიყვანა მაკდონალდსი, რომელიც მაკდონალდსის სწრაფი კვების ობიექტების მიმდებარე ტერიტორიების გამწვანებასაც უზრუნველყოფს. ხოლო, კონკრეტულად ქალაქ თბილისში, ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.11.001.416) სატყეო ზონის ცვლილების საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დამატებითი შესწავლის მიზნით საჭიროა მისი განხილვა გადაიდოს დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენამდე.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით, კომისიის წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს **№01212713352-67 განცხადების** განხილვის გადადება დამატებითი შესწავლისთვის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ ფუნქციური ზონის ცვლილების თაობაზე დამატებითი ინფორმაციის (დასაბუთების) წარმოდგენამდე.

- განმარტებითი ბარათის „ბ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი) - **№01213411355-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ლიბანის ქუჩა №35; ლიბანის ქუჩის I ჩიხი №6-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.11.03.004.054) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სატრანსპორტო ზონა 2-ით (ტზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა.

ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს თვითმომსახურების ავტოსამრეცხაოს და მისი დამხმარე (სწრაფი კვების ობიექტი) შენობა-ნაგებობის მშენებლობა წარმოადგენს.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო, 2021 წლის 22 ნოემბრის №01213422160 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო არეალზე გავრცელდეს სატრანსპორტო ზონა 2 (ტზ-2).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2021 წლის 9 დეკემბრის №0121343857 წერილის მიხედვით, თანახმაა, განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენა.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ საპროექტო ტერიტორიის ჩრდილოეთით, დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე, დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილში - რუკაზე ხარვეზის სახით რჩება სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ხარვეზის გასწორების მიზნით, საპროექტო ტერიტორიის ჩრდილოეთით დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ხორციელდება სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ლიბანის ქუჩა №35; ლიბანის ქუჩის I ჩიხი №6-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.11.03.004.054) და მიმდებარედ სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სატრანსპორტო ზონა 2-ითა (ტზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „გ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-3 პუნქტი) - **№01213302707-67(№01213342222-67) განცხადებებით,** ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი №4-ში მდებარე მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: №01.72.14.034.265, №01.72.14.034.934) ნაწილზე მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით საპროექტო არეალზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3 (სსზ-3).

ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს სავაჭრო ფუნქციის შენობა-ნაგებობის განთავსება წარმოადგენს.

ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონირების მიხედვით, N01.72.14.034.265 და N01.72.14.034.934 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები მოქცეულია გეგმარებით კარკასში (გკ), რომელიც წარმოადგენს სხვადასხვა დანიშნულების ობიექტების კონცენტრაციის, ტერიტორიების გამოყენების ინტენსივობის, საზოგადოებრივი ცენტრების - აქტიური საცხოვრებელი და საზოგადოებრივი გარემოს არსებობის ნიშნით გამოყოფილ სტრუქტურულ ელემენტს, რომელიც ყალიბდება საერთო საქალაქო მნიშვნელობის ქუჩების გასწვრივ და რომელიც, როგორც წესი, მოიცავს ნაკვეთების პირველ რიგს.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2021 წლის 9 დეკემბრის №01213432733 წერილის მიხედვით, თანახმაა, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენა.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, საპროექტო ტერიტორიის სამხრეთით №01.72.14.034.551 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე, გამწვანებული ტერიტორიების რუკაზე, ხარვეზის სახით რჩება სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ხარვეზის გასწორების მიზნით, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ (სამხრეთით, №01.72.14.034.551-ის ნაწილზე) ხორციელდება გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი №4-ში მდებარე მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: №01.72.14.034.265, №01.72.14.034.934) ნაწილზე და მიმდებარედ გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „დ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-4 პუნქტი) - **№01213411265-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ლიბანის ქუჩა №35; ლიბანის ქუჩის I ჩიხი №6-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.11.03.004.053) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სატრანსპორტო ზონა 2-ით (ტზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2021 წლის 9 დეკემბრის №0121343854 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო, 2021 წლის 8 დეკემბრის №01213422128 წერილის მიხედვით, აღნიშნული ფუნქციური ზონის ცვლილების, სატრანსპორტო ზონა 2-ის (ტზ-2) გავრცელების წინააღმდეგი არ არის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ლიბანის ქუჩა №35; ლიბანის ქუჩის I ჩიხი №6-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.11.03.004.053) სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სატრანსპორტო ზონა 2-ით (ტზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ე“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-5 პუნქტი) - **№01213413428-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, შანდორ პეტეფის ქუჩა №21ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.17.10.005.116, №01.17.10.005.114 და მიმდებარე ტერიტორიაზე) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით (სსზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტო, უფლებამოსილებების ფარგლებში, განიხილავს ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, შანდორ პეტეფის ქუჩა №21ა-ში არსებული №01.17.10.005.116 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის და მიმდებარედ არსებული ტერიტორიის პრივატიზებას.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2021 წლის 13 დეკემბრის №01213473061 წერილის მიხედვით, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენა.

**შეკითხვა დასვა:**

**ქ-ნმა ლ. ლიპარტელიანმა** - ქალაქ თბილისში, შანდორ პეტეფის ქუჩა №21ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.17.10.005.116, №01.17.10.005.114 და მიმდებარე ტერიტორიაზე) არსებული გამწვანებისა და საკადასტრო მიწის ნაკვეთების

მესაკუთრეების, ასევე, საკადასტრო მიწის ნაკვეთების შემდგომი განვითარების შესახებ შესახებ.

**დასმულ შეკითხვებზე პასუხი გასცა მომხსენებელმა, ქ-ნმა ნ. ბაგაშვილმა**, რომლის ინფორმაციით, ტერიტორიაზე გამწვანება არ ფიქსირდებაю №01.17.10.005.116 საკადასტრო მიწის ნაკვეთი წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებას, რომლის გასხვისებაც იგეგმება, ხოლო №01.17.10.005.114 საკადასტრო მიწის ნაკვეთი კერძო პირთა საკუთრებაა და მიწის ნაკვეთზე დამაგრებულია ავარიული შენობა-ნაგებობა. შენობაზე ხარვეზის სახით ფიქსირდება სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2), რის გამოც ვერ ხერხდება შენობისთვის შესაბამისი სამუშაოების ჩატარება. ფუნქციური ზონის ცვლილების შემდეგ, ქალაქის საკუთრებაში არსებული ტერიტორია აუქციონის წესით გასხვისდება და №01.17.10.005.114 და №01.17.10.005.116 საკადასტრო მიწის ნაკვეთების განვითარება მოხდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ის პარამეტრებით. მოსახლეობის მოთხოვნაა, რომ №01.17.10.005.116 საკადასტრო მიწის ნაკვეთი შეისყიდონ, რადგან №01.17.10.005.114 საკადასტრო მიწის ნაკვეთის დამოუკიდებლად სამშენებლოდ განვითარება შეუძლებელია.

**ბ-ნმა რ. სოხაძემ** დამსწრე საზოგადოებას დამატებითი ინფორმაცია მიაწოდა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. მისი განმარტებით, საკითხის შესწავლის მიზნით, გასული იყო ტერიტორიაზე და №01.17.10.005.114 საკადასტრო მიწის ნაკვეთზე ნამდვილად ავარიული შენობა-ნაგებობა დგას, ხოლო მიმდებარე ტერიტორიაზე ორი მრავალწლოვანი ხე-ნარგავია (კაკლის ხე) და დანარჩენი გამწვანებულია ხილკენკროვანი ხე-ნარგავებით. გარდა ამისა, ბ-ნმა რ. სოხაძემ აღნიშნა, რომ შანდორ პეტეფის ქუჩა არის ცენტრალური გზა და მოქცეულია გეგმარებით კარკასში, შესაბამისად, მისი განვითარება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით მართებულია.

**აზრი გამოთქვეს:** ქ-ნმა ლ. ლიპარტელიანმა, ბ-ნმა გ. ტყემალაძემ, ბ-ნმა მ. გუგეშაშვილმა და ბ-ნმა რ. სოხაძემ, რომლებმაც ყურადღება გაამახვილეს აღნიშნულ ტერიტორიაზე მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებასა და სამომავლოდ, თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული №01.17.10.005.116 საკადასტრო მიწის ნაკვეთის აუქციონის წესით გასხვისების პირობებსა და პროცედურებზე.

**ბ-ნმა შ. გრიგოლიამ** ისაუბრა კომპაქტურად ჩასახლებულ დევნილთა (იძულებით გადაადგილებულ პირთა) საცხოვრებელი ფართების პრობლემებზე და აღნიშნა, რომ ამ მოსახლეობასაც ანალოგიური პრობლემები აქვთ, მათთვის გადაცემულ საცხოვრებელ კორპუსებზეც ვრცელდება სარეკრეაციო ზონები და მათი საცხოვრებელი პირობებიც უკიდურესად მძიმეა. შესაბამისად, მსგავსი პრეცედენტის დაშვება გამოიწვევს მომართვიანობას მათი მხრიდან.

**ბ-ნი რ. სოხაძის** განმარტებით, შედარება შეუსაბამოა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ფუნქციური ზონის ცვლილებით ვერ მოხდება პრეცედენტის დაშვება, რადგან ეს კონრეტული საკითხი დაკავშირებულია გენ.გეგმის ხარვეზთან. სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) გავრცელებულია შენობაზე, რომელიც ტერიტორიაზე დგას 2005 წლიდან.

კომისიის წევრებმა მოითხოვეს აღნიშნული საკითხის (**№01213413428-67 განცხადება)** კენჭისყრაზე ცალკე დასმა.

**სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ნ. კახეთელიძემ კენჭისყრაზე დასვა - №01213413428-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, შანდორ პეტეფის ქუჩა №21ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.17.10.005.116, №01.17.10.005.114 და მიმდებარე ტერიტორიაზე) მოთხოვნილი სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით (სსზ-1) ცვლილების და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნის საკითხის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანის წინადადება.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 3

წინააღმდეგი - 2

თავი შეიკავა - 0

**შენიშვნა:** კენჭისყრას არ ესწრებოდა კომისიის 1 წევრი.

**კომისიის წევრთა ხმათა უმრავლესობით გადაწყდა:** ქალაქ თბილისში, შანდორ პეტეფის ქუჩა №21ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.17.10.005.116, №01.17.10.005.114 და მიმდებარე ტერიტორიაზე) მოთხოვნილი სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით (სსზ-1) ცვლილების და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნის საკითხს გაეწიოს რეკომენდაცია და გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

- განმარტებითი ბარათის „ვ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-6 პუნქტი) - **№01213444-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, სოფელ ფონიჭალაში, ილია ჭავჭავაძის ქუჩა №4ბ-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №81.05.02.765; №81.05.02.764) მოთხოვნილია სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება.

№81.05.02.765 და №81.05.02.764 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე, ისევე როგორც მის მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე ხარვეზის სახით გავრცელებულია სამრეწველო ზონა 1 (ს-1), რომელიც შეუსაბამოა გარემო განაშენიანებისთვის, ვინაიდან, სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) მიღმა დარჩენილი სამრეწველო ზონა 1 (ს-1) განვითარებულია ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებით. შესაბამისად აღნიშნული ცვლილებით მოხდება დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის ხარვეზის აღმოფხვრა და ფაქტობრივი მდგომარეობის ასახვა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ ფონიჭალაში, ილია ჭავჭავაძის ქუჩა №4 ბ-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი:

№81.05.02.765; №81.05.02.764) და მიმდებარე ტერიტორიაზე სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება მისაღებია.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ნ. კახეთელიძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი **წინადადება:**

1. **გადადებულ იქნას №01212713352-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.11.001.416) მოთხოვნილი სატყეო ზონის სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილებისა და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის ფენის მოხსნის საკითხის განხილვა.
2. **რეკომენდაცია გაეწიოს** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2021 წლის 13 დეკემბრის **№12-032134738-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 5 წინადადება - №01213411355-67; №01213302707-67(№01213342222-67); №01213411265-67; №01213413428-67 და №01213444-67 განცხადება) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 3

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 2

**შენიშვნა:** კენჭისყრას არ ესწრებოდა კომისიის 1 წევრი.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

1. **გადადებულ იქნას №01212713352-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.11.001.416) მოთხოვნილი სატყეო ზონის სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილებისა და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის ფენის მოხსნის საკითხის განხილვა.
2. **რეკომენდაცია გაეწიოს** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2021 წლის 13 დეკემბრის **№12-032134738-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 5 წინადადება - №01213411355-67; №01213302707-67(№01213342222-67); №01213411265-67;

№01213413428-67 და №01213444-67 განცხადება) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

**მოისმინეს დღის წესრიგის მეოთხე საკითხი** - „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის №71-134 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2021 წლის 20 დეკემბრის №12-032135041-03 წერილი)

**სხდომის დღის წესრიგის მეოთხე საკითხი** წარმოადგინა ბ-ნმა გაიოზ თალაკვაძე.

მომხსენებლის (გ. თალაკვაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება მიმდინარე წელს ფაქტობრივად მიღებული შემოსულობების გათვალისწინებით, რომლის თანახმად **იზრდება** არაფინანსური აქტივების კლებიდან (ძირითადი აქტივების გაყიდვიდან) მისაღები შემოსავლები - 3 476 900 ლარის ოდენობით, ხოლო **მცირდება** ქონების გადასახადიდან მისაღები შემოსავლები - 3 253 900 ლარით და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მისაღები გრანტები - 220 000 ლარით. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა არ იცვლება და შეადგენს 1 270 531 800 ლარს. ასევე, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების, რაიონის გამგეობების და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების დამატებითი მოთხოვნების და გადანაწილების შესახებ წინადადებები.

აღნიშნულის გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე, მათ შორის:

**იზრდება:** გზების მოვლა-შეკეთება საბურთალოს რაიონში (კოდი 01 01 13) ქვეპროგრამის ასიგნება – 171 500 ლარი, საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია (კოდი 01 02 02) – 28 764 000 ლარი, საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია (კოდი 01 02 05) – 15 531 800 ლარით, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება (კოდი 02 02) პროგრამის ასიგნება - 500 000 ლარი, საპროექტო–საძიებო და კვლევითი სამუშაოები, ექსპერტიზა, კონსერვაცია და სხვა ღონისძიებები (კოდი 02 03 01) ქვეპროგრამის ასიგნება - 122 000 ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 02 09 18) – 33 800 ლარი, დასუფთავების ღონისძიებები (კოდი 03 02) პროგრამის ასიგნება - 1 438 700 ლარი, გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლი (კოდი 06 01 03)

ქვეპროგრამის ასიგნება - 29 000 ლარი, დაავადებათა სკრინინგი (კოდი 06 01 02) – 115 000 ლარი, ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება (კოდი 06 01 07) – 390 000 ლარი, ტრანსპლანტაცია (კოდი 06 01 13) – 750 000 ლარი, კომუნალური სუბსიდირება (კოდი 06 02 01) – 145 000 ლარი, პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა (კოდი 07 04) პროგრამის ასიგნება - 100 000 ლარი, იურიდიული კლინიკა (კოდი 07 05 02) – 19 100 ლარი, პანტომიმის სახელმწიფო თეატრი (კოდი 08 01 02) ქვეპროგრამის ასიგნება - 18 800 ლარი, სანდრო მრევლიშვილის სახელობის თბილისის პროფესიული მუნიციპალური თეატრი (კოდი 08 01 05) – 11 700 ლარი, საკონცერტო ორკესტრი ბიგ-ბენდი (კოდი 08 04 01) – 29 100 ლარი, თბილისის თანამედროვე ბალეტის დასი (კოდი 08 12) პროგრამის ასიგნება - 9 000 ლარი, ქ.თბილისის საკრებულო (კოდი 10 01) – 318 200 ლარი, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო (კოდი 10 18) – 156 000 ლარი, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს (კოდი 10 21) – 350 500 ლარი, სარეზერვო ფონდი (კოდი 10 22) – 500 000 ლარით.

**მცირდება:** გზების მშენებლობა და აღდგენა (კოდი 01 01 01) ქვეპროგრამის ასიგნება - 3 950 000 ლარი, გზების მოვლა-შეკეთება გლდანის რაიონში (კოდი 01 01 08) – 54 900 ლარი, გზების მოვლა-შეკეთება ნაძალადევის რაიონში (კოდი 01 01 09) – 801 000 ლარი, გზების მოვლა-შეკეთება მთაწმინდის რაიონში (კოდი 01 01 17) – 85 000 ლარი, საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია (კოდი 02 01) პროგრამის ასიგნება - 4 122 000 ლარი, უკანონო ნაგებობების დემონტაჟი (კოდი 02 09 09) ქვეპროგრამის ასიგნება - 47 000 ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 02 09 10) – 172 700 ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში (კოდი 02 09 11) – 744 900 ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 02 09 12) – 165 000 ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 02 09 13) – 120 000 ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები ვაკის რაიონში (კოდი 02 09 14) – 38 000 ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში (კოდი 02 09 19) – 100 000 ლარი, ქალაქის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 02 10) პროგრამის ასიგნება - 3 000 000 ლარი, გამწვანების ღონისძიებები (კოდი 03 01) – 7 880 200 ლარი, ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 03 03 02) ქვეპროგრამის ასიგნება - 74 000 ლარი, ბიზნესის სტიმულირება (კოდი 04 01) პროგრამის ასიგნება – 274 000 ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა გლდანის რაიონში (კოდი 05 01 08) ქვეპროგრამის ასიგნება - 40 000 ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ნაძალადევის რაიონში (კოდი 05 01 09) – 93 000 ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა დიდუბის რაიონში (კოდი 05 0110) – 35 800 ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ჩუღურეთის რაიონში (კოდი 05 01 11) – 30 000 ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ვაკის რაიონში (კოდი 05 01 12) – 40 000 ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა მთაწმინდის რაიონში

(კოდი 05 01 16) -140 000 ლარი, გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება (კოდი 06 01 05) – 72 000 ლარი, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაცია (კოდი 06 01 06) – 18 000 ლარი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა და მოზარდთა საკურორტო მომსახურება (კოდი 06 02 04) – 200 000 ლარი, უფასო სწავლება მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებში და სასახლეში (კოდი 06 02 06 01) – 90 000 ლარი, სერვის ცენტრებში ბარათების დამზადება (ინიციალიზაცია) (კოდი 06 02 06 04) – 10 000 ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 06 02 18 10) – 50 000 ლარი, წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება გლდანის რაიონში (კოდი 06 02 20 01) – 4 000 ლარი, სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარება (კოდი 06 02 25) – 15 000 ლარი, შინმოვლის თანადაფინანსება (კოდი 06 02 26) – 40 000 ლარით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა (კოდი 06 02 28) – 90 000 ლარი, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა (კოდი 07 01 02) – 6 082 300 ლარი, ზოგადი განათლების და სასკოლო პროექტების ხელშეწყობა (კოდი 07 02 01) – 50 000 ლარი, საზოგადოების განათლებისა და ინფორმირების ხელშეწყობა (კოდი 07 02 03) – 764 0000 ლარი, საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელება (კოდი 07 02 04) – 900 000 ლარი, მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელშეწყობა (კოდი 07 03 03) – 340 000 ლარი, უწყვეტი განათლების და სტუდენტური პროექტების ხელშეწყობა (კოდი 07 05 01) – 50 000 ლარი, მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე (კოდი 07 06 01) – 400 000 ლარი, თბილისის საშემსრულებლო ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი (კოდი 08 01 03) – 50 000 ლარი, სამეფო უბნის თეატრი (კოდი 08 01 08) – 31 400 ლარი, სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა (კოდი 08 02) პროგრამის ასიგნება - 3 556 400 ლარი, მუზეუმების გაერთიანების ხელშეწყობა (კოდი 08 03 12) ქვეპროგრამის ასიგნება - 30 000 ლარი, კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები (კოდი 08 04 04) – 75 000 ლარი, მწვრთნელთა მხარდაჭერა (კოდი 08 06 02) – 10 300 ლარი, სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება (კოდი 08 06 04) – 12 961 000 ლარი, წარმატებული სპორტსმენი ბავშვების წახალისება (კოდი 08 06 05) – 37 100 ლარი, ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა (კოდი 08 08 01) – 585 000 ლარი, შემოქმედებითი თბილისი (კოდი 08 09) – 30 000 ლარი, კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 08 11 01) – 96 400 ლარი, კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში (კოდი 08 11 02) – 96 900 ლარი, კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 08 11 03) – 10 000 ლარი, კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 08 11 04) – 25 000 ლარი, კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში (კოდი 08 11 10) – 96 700 ლარი, თბილისის მუნიციპალური ქონების დაცვის უზრუნველყოფა (კოდი 09 01) - პროგრამის ასიგნება - 109 000 ლარი, ცხოველთა მონიტორინგი (კოდი 09 02) – 148 500 ლარი, მერიის ადმინისტრაცია (კოდი 10 02) – 3 088 400 ლარი, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახური (კოდი 10 20) – 70 000 ლარი, გლდანის რაიონის

გამგეობა (კოდი 10 27) – 36 000 ლარი, ნაძალადევის რაიონის გამგეობა (კოდი 10 28) – 138 900 ლარი, დიდუბის რაიონის გამგეობა (კოდი 10 29) – 4 700 ლარი, კრწანისის რაიონის გამგეობა (კოდი 10 27) – 33 800 ლარი.

სხდომაზე შეკითხვა დაისვა გარემოს დაცვის მიმართულებით, კერძოდ, გამწვანების ღონისძიებების (კოდი 03 01) 7 880 200 ლარით შემცირების გამომწვევი მიზეზების შესახებ.

**დასმულ შეკითხვას უპასუხა** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსის) მოადგილემ, **ბ-ნმა გიორგი ვახტანგაშვილმა,** რომლის ინფორმაციით, გამწვანების ღონისძიებების (კოდი: 03 01) 7 880 200 ლარით შემცირება გამოიწვია შემდეგმა გარემოებებმა:

პირველი, „ზღვის უბნის" საქალაქო მნიშვნელობის პარკის მშენებლობის პროცესში გამოვლინდა რთული გაუთვალისწინებელი ტექნიკური და გარემო პირობები. კერძოდ, აღნიშნულ ტერიტორიაზე სამუშაოების ჩატარების პროცესში, 3 კმ$^2$ ფართობზე გამოვლინდა ჭაობიანი ადგილი, რის გამოც შეფერხდა სამშენებლო სამუშაოების პროცესი; ასევე, პარკის მშენებლობისთვის საჭირო ზოგიერთი მასალა, იმის გამო, რომ საქართველოში არ იწარმოება, შესყიდულ იქნა უცხოეთში. გარდა ამისა, „ზღვის უბნის" პარკის მშენებლობა შეაფერხა კოვიდ19-ით გამოწვეული პანდემიის გამო დაწესებულმა შეზღუდვებმაც.

მეორე, ვაკის პარკის კასკადის შესყიდვაზე 2021 წელს გამოცხადებული ტენდერი ორჯერ ჩაიშალა. ამის შემდეგ, მესამედ გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულ კომპანიასთან ხელშეკრულება გაფორმდა მიმდინარე წლის ოქტომბრის თვეში. აღნიშნულის გათვალისწინებით, სამუშაოების დასრულება წლის ბოლომდე ვერ მოხერხდა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა ითხოვა ორივე პროექტისთვის გათვალისწინებული თანხის 2022 წლის ბიუჯეტში ასახვა.

**აზრი გამოთქვა:**

**ბ-ნმა ნ. კახეთელიძემ** ითხოვა გარემოს დაცვის კომისიისთვის ინფორმაციის მიწოდება ტენდერებთან, განსაკუთრებით ჩაშლილ ტენდერებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ტენდერის ჩაშლის მიზეზი შეიძლება იყოს: ტექნიკური პირობების არასწორად შედგენა და ტენდერის გამოცხადებამდე მისი საფუძვლების არასრულყოფილად შესწავლა. შესაბამისად, თუ დაბალანსებული არ იქნება ეს თემები, შესაძლოა, ეს პროცესი უსასრულოდ გაგრძელდეს და ტენდერის ჩაშლას სისტემატური ხასიათი მიეცეს.

**სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ნ. კახეთელიძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:**

**რეკომენდაცია გაეწიოს** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2021 წლის 20 დეკემბრის **№12-032135419-03 წერილით** წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის №71-134 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 4

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 2

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

**რეკომენდაცია გაეწიოს** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2021 წლის 20 დეკემბრის **№12-032135419-03 წერილით** წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის №71-134 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

**მოისმინეს დღის წესრიგის მეხუთე საკითხი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის განსაზღვრის თაობაზე

**სხდომის დღის წესრიგის მეხუთე საკითხი** წარმოადგინა ბ-ნმა ნიკოლოზ კახეთელიძემ.

მომხსენებლის (ნ. კახეთელიძე) ინფორმაციით, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილების 23-ე მუხლის, ასევე, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №3-7 დადგენილების მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კომისია კომისიის წევრთაგან განსაზღვრავს კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს კომისიის თავმჯდომარის მიერ მისი უფლებამოსილების

განხორციელების შეუძლებლობის, თანამდებობიდან გადადგომის ან გადაყენების შემთხვევისათვის.

საკანონმდებლო მოთხოვნიდან გამომდინარე, ბ-ნმა ნიკოლოზ კახეთელიძემ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად დაასახელა კომისიის წევრი ვლადიმერ ბოჟაძის კანდიდატურა.

**კომისიის წევრების მიერ სხვა კანდიდატები არ დასახელებულა.**

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობის **გადაწყვეტილებით:**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარის მიერ მისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის, თანამდებობიდან გადადგომის ან გადაყენების შემთხვევისათვის, კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად განისაზღვროს ვლადიმერ ბოჟაძე.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ნიკოლოზ კახეთელიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: ნიკოლოზ კახეთელიძე